აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის

გადაწყვეტილება №16

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ **გადაწყვიტა:**

დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის დებულება (თან ერთვის).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

ბათუმი,
13 დეკემბერი, 2016 წელი
№3

"დამტკიცებულია"
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს 2016 წლის
13 დეკემბრის №16 გადაწყვეტილებით

დავით გაბაიძე
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

დებულება

თავი I
ზოგადი დებულება

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია შექმნილია უმაღლესი საბჭოს მიერ თავისი უფლებამოსილების ვადით.

2. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

3. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადებას, უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობას, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის კონტროლს.

4. კომისიას აქვს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

5. კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის დებულებას, რომელიც სხდომის ოქმთან ერთად დასამტკიცებლად წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

თავი II
კომისიის ამოცანები

1. კომისიის ამოცანებია:

ა) მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, დედათა და ბავშვთა დაცვის, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე პირთა, მოხუცთა, ვეტერანთა, ლტოლვილთა, იძულებით გადაადგილებულ პირთა, სტიქიით დაზარალებულთა საკითხების უზრუნველსაყოფად ღონისძიებების შემუშავება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ საწარმოებსა და დაწესებულებებში დასაქმებულ მუშაკთა შრომითი უფლებების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მდგომარეობის შესწავლა;

ბ) უმაღლესი საბჭოს და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა ინტერესების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად;
გ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სისტემებში მიმდინარე რეფორმის, რეორგანიზაციის, რესტრუქტურიზაციის პროცესში მონაწილეობის მიღება;
დ) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონიერებისა და უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

თავი III
კომისიის უფლებამოსილებანი

1. კომისია კანონმდებლობითა და ამ დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში:
ა) შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლეს საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტებს;
ბ) მონაწილეობს უმაღლეს საბჭოში შესული კანონპროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებს და კანონპროექტების თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნებით გათვალისწინებულ მასალას გადასცემს უმაღლესი საბჭოს შესაბამის ორგანოს;
გ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრთა კანდიდატურებს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურებს, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს და რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო და დასკვნებს წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს;
დ) განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და შეიმუშავებს დასკვნას;
ე) აკონტროლებს კანონების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;
ვ) ახორციელებს კონტროლს უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სახელმწიფო ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობაზე და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;
ზ) წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;
თ) სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;
ი) ახორციელებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.
2. კომისია წინასწარ გეგმით დამტკიცებული ან შესაბამისი პეტიციის საფუძველზე შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს.
3. კომისია უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების, შემოსული წინადადებების, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი კანონპროექტების საფუძველზე შეიმუშავებს და კომისიის სხდომებზე იღებს

მიმდინარე გეგმებს. კომისიის გეგმას ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე, რის შემდეგ ის დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.
4. უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულნი არიან დადგენილ ვადაში წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, დასკვნები და სხვა საჭირო მასალები. სახელმწიფო ან სამხედრო საიდუმლოების შემცველი ცნობების წარდგენის წესი განისაზღვრება კანონმდებლობით.
5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი, უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული და მისი თანხმობით დანიშნული, დამტკიცებული თანამდებობის პირი, აგრეთვე თანამდებობის პირი, რომლის დანიშვნაზედაც უმაღლესმა საბჭომ თანხმობა მისცა, უფლებამოსილია, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში ვალდებულია, დაესწროს კომისიის სხდომებს, პასუხი გასცეს სხდომაზე დასმულ შეკითხვებს და წარადგინოს გაწეული საქმიანობის ანგარიში. ასეთ თანამდებობის პირს მოთხოვნისთანავე უნდა მოუსმინოს კომისიამ.
6. კომისია:
ა) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების, ასევე საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ პირთა თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის, დამტკიცების ან დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხებს. აღნიშნულ კანდიდატურებთან დაკავშირებულ ინფორმაციას კომისიას აწვდის კანდიდატურის წარმდგენი;
ბ) უფლებამოსილია შესაბამის კანდიდატურას მოსთხოვოს წერილობითი ინფორმაცია მისი ბიოგრაფიული ცნობების, შრომითი გამოცდილებისა და პროფესიული ცოდნის შესახებ;
გ) მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ამზადებს დასკვნას საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით და კანონით განსაზღვრულ პირთათვის ნდობის გამოცხადების, მათი თანამდებობაზე არჩევის, დანიშვნის ან დამტკიცების ან მათ დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ. დასკვნა მიიღება ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით.
7. კომისიის დასკვნა სავალდებულოა იმ პირთა კანდიდატურების თაობაზე, რომლებსაც ირჩევს, ნიშნავს, ამტკიცებს ან რომელთა დანიშვნაზედაც თანხმობას იძლევა უმაღლესი საბჭო. დასკვნა წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელიც გადასცემს მას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და უმაღლეს საბჭოს.
8. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველად გასატან ყველა საკითხს განიხილავს კომისია.
9. კომისია, მის გამგებლობას მიკუთვნებული დარგების მიხედვით, შეისწავლის და აანალიზებს კანონმდებლობის შესრულების მდგომარეობას, იღებს ზომებს მისი შესრულების უზრუნველსაყოფად, საკანონმდებლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ამზადებს წინადადებებს კანონმდებლობაში აუცილებელი ცვლილებების ან დამატების შეტანის შესახებ.
10. კომისია ინფორმაციის მოსმენის, კონტროლის და შემოწმების შედეგად შეიმუშავებს დასკვნას. კომისიის დასკვნა უნდა შეიცავდეს შეფასების და რეაგირების კონკრეტულ ზომებს. კომისია ვალდებულია თავისი დასკვნა უახლოეს სხდომაზე წარუდგინოს

უმაღლესი საბჭოს ბიუროს, რომელსაც ეს საკითხი განსახილველად შეაქვს უმაღლესი საბჭოს უახლოესი პლენარული სხდომის დღის წესრიგში. უმაღლესი საბჭო პლენარულ სხდომებზე განიხილავს დასკვნას, შეაფასებს და იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

თავი IV
კომისიის შემადგენლობა და სტრუქტურა

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ უმაღლესი საბჭოს წევრების რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ შედიან არც ერთ ფრაქციაში.
2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და კომისიიის წევრებისაგან.
3. კომისიის თავმჯდომარე:
ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
ბ) წარმოადგენს კომისიას უმაღლეს საბჭოში და მის ფარგლებს გარეთ;
გ) ხელს აწერს კომისიის გადაწყვეტილებებს, დასკვნებს და სხდომის ოქმებს;
დ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომისიის აპარატს;
ე) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებში დანერგილი სიახლეების გაცნობის მიზნით კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება და მონაწილეობის მიღება;
ვ) ასრულებს უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით და სხვა აქტებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს;
4. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ა) თავმჯდომარის არყოფნის, გადადგომის ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას;
ბ) ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;
5. კომისიის წევრს შეუძლია ნებისმიერ დროს გავიდეს კომისიის შემადგენლობიდან. წევრის უფლებამოსილება წყდება, როცა შესაბამისი უმაღლესი საბჭოს წევრებს შეუწყდება უფლებამოსილება, დაინიშნება ან დამტკიცდება კომისიის წევრისათვის შეუთავსებელ თანამდებობაზე.
6. კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების შეუძლებლობის ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
7. კომისია თავის წევრთაგან, უფლებამოსილების ვადით, ფარული კენჭისყრით, სიით შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს და აცნობებს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.
8. კომისიის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვთ კომისიის თავმჯდომარეს ან კომისიის არანაკლებ ორ წევრს.
9. კომისიებთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც შედგება შესაბამისი დარგის კომპეტენტური, სათანადო გამოცდილების მქონე, მოწვეული ექსპერტ-კონსულტანტებისაგან. საბჭოს შემადგენლობას ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.

10. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომებს საჭიროების მიხედვით იწვევს კომისია. შეიძლება ჩატარდეს კომისიისა და სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ერთობლივი სხდომა.

11. კომისიის თავმჯდომარეს კონკრეტული საკითხების დასამუშავებლად, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ განსაზღვრული კვოტების ფარგლებში შეუძლია ექსპერტ-კონსულტანტებს გაუფორმოს ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები.

თავი V
კომისიის მუშაობის ორგანიზება

1. კომისია პირველ საორგანიზაციო სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარის არჩევიდან 3 დღის ვადაში.

2. პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის დებულებას და ირჩევს კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

3. პირველი საორგანიზაციო სხდომის ოქმი და კომისიის დებულება დასამტკიცებლად გადაეგზავნება უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

4. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში _ მისი მოადგილე. კომისიის სხდომების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისია, მაგრამ არანაკლებ თვეში 1 სხდომისა (გარდა არასასესიო პერიოდისა). კომისია ვალდებულია უმაღლესი საბჭოს ან უმაღლესი საბჭოს ბიუროს დავალებით, მის მიერ განსაზღვრულ ვადაში გამართოს სხდომა.

5. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

6. კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაესწრონ კომისიის სხდომას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში. ამ მოთხოვნის დარღვევა გამოიწვევს რეგლამენტით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. თუ ფრაქციის მიერ დანიშნულ წევრს დროებით არ შეუძლია მიიღოს კომისიის საქმიანობაში მონაწილეობა, მის დამნიშვნელ ფრაქციას უფლება აქვს აღნიშნული წევრი დროებით შეცვალოს ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც ფრაქცია წერილობით აცნობებს, შესაბამის კომისიას. კომისიის წევრს, რომლის უფლებამონაცვლეც ესწრება კომისიის სხდომას, შესაბამისი კომისიის სხდომა გაცდენილად არ ეთვლება.

8. კომისიის სხდომის მასალები ურიგდება და ინფორმაცია მისი დღის წესრიგისა და თარიღის შესახებ ეცნობა კომისიის წევრებს სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღისა. ინფორმაცია კომისიის სხდომისა და მისი დღის წესრიგის შესახებ სხდომამდე ორი დღით ადრე განთავსდება უმაღლესი საბჭოს ინტერნეტ-გვერდზე, ან სპეციალურად განკუთვნილ დაფაზე.

9. გადაწყვეტილება მიიღება ღია ან ფარული კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხმების უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სხდომის გახსნისათვის (უფლებამოსილების დადგენისათვის) საჭირო ხმების ნახევარისა. ღია კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფისას გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

10. კომისიის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, კომისიის სიითი შემადგენლობის ერთი მესამედის მოთხოვნით. კომისიის სხდომის თარიღი კომიტეტის წევრებს ეცნობა სხდომამდე არაუგვიანეს 1 დღისა.

11. კომისიის სხდომის დღის წესრიგს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან კომისიის წევრის (წევრების) მოთხოვნით. დღის წესრიგიდან საკითხის მოხსნის ან დღის წესრიგში ახალი საკითხის შეტანის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

12. კომისიის სხდომა საჯაროა. განსაკუთრებულ შემთხვევაში კომისია ატარებს დახურულ სხდომას. დახურული სხდომის გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

13. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწრონ უმაღლესი საბჭოს წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრები და მოწვეული პირები.

14. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეული იქნენ საზოგადოებრიობის დაინტერესებული წარმომადგენლები, რომელთაც სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მიეცემათ სიტყვით გამოსვლის უფლება.

15. კომისიის სხდომაზე დასასწრებად შეიძლება მოწვეულ იქნენ დადგენილი წესით აკრედიტებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. შესაძლებელია მოეწყოს კომისიის სხდომის ტელერადიორეპორტაჟი და სხდომის შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს პრესაში.

16. კომისიის სხდომაზე განიხილება კომისიაში შემუშავებული და შემოსული სხვა კანონპროექტები, ინფორმაციები კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებათა აქტუალურ საკითხებზე, პეტიციები, მოქალაქეთა საჩივრები და განცხადებები, საქართველოს მთავრობის წევრთა და სახელმწიფო თანამდებობის პირთა ახსნა-განმარტებები, ინფორმაციები, შემოწმებათა სხვა შედეგები.

17. კომისია იღებს რეკომენდაციას, დასკვნას, წინადადებას. კომისიის თავმჯდომარე გამოსცემს განკარგულებას შიდასაკომისიო ორგანიზაციულ საკითხებზე.

18. კომისიის დასკვნები, როგორც წესი, წარედგინება უმაღლესი საბჭოს ბიუროს, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომას ან იგზავნება დანიშნულებისამებრ.

19. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, ბიუროს გადაწყვეტილებით ან შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებებით შეიძლება ჩატარდეს ერთობლივი სხდომა. ერთობლივ სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომისიები ცალ-ცალკე კენჭისყრით იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

თავი VI
კომისიის საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. კომისიის საქმიანობის უზრუნველსაყოფად იქმნება უმაღლესი საბჭოს კომისიის აპარატი, რომელიც წარმოადგენს კომისიისადმი დაქვემდებარებულ უმაღლესი საბჭოს აპარატის მუდმივმოქმედ სტრუქტურულ ერთეულს.

2. კომისიის აპარატი:

ა) მონაწილეობს კომისიის სამუშაო გეგმების, სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების, კომისიის გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, კანონპროექტებზე დასკვნების, შენიშვნებისა და წინადადებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში;

ბ) ახორციელებს საკონსულტაციო და ანალიტიკურ ფუნქციებს, ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებასა და საქმისწარმოებას;

გ) ასრულებს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს;

3. კომისიის აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ერთეულთა რაოდენობას კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით და უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსთან შეთანხმებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. კომისიის აპარატის შემადგენლობაში შედიან კომისიის აპარატის უფროსი და სპეციალისტები (საშტატო განრიგით გათვალისწინებული მოხელეები და მოწვეული სპეციალისტები).

5. კომისიის აპარატის უფროსი:

ა) კომისიის თავმჯდომარესთან ერთად ახორციელებს კომისიის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას, კომისიის აპარატის მუშაკთა შორის ანაწილებს ფუნქციებს და დავალებებს, კოორდინაციას უწევს კომისიის აპარატსა და უმაღლესი საბჭოს აპარატის სხვა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ურთიერთობებს;

ბ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომების მომზადებას, მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხდომის ოქმების გაფორმებას;

გ) უზრუნველყოფს კომისიის აპარატის მუშაკთა მიერ შრომის დისციპლინის დაცვას, შეაქვს წინადადებები მათი წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ;

დ) ასრულებს კანონმდებლობით კომისიის, უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომისიის აპარატის დებულებებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

6. კომისიის აპარატის სპეციალისტები:

ა) მუშაობენ კომისიის დებულებით განსაზღვრულ დარგობრივ მიმართულებათა საკითხებზე; მონაწილეობენ კომისიის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული კანონპროექტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში, ანალიზსა და განზოგადებაში, კანონპროექტებზე დასკვნებისა და მოხსენებების მომზადებაში, კომისიის საკონტროლო, ორგანიზაციულ და სხვა საქმიანობაში; ასრულებენ კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის აპარატის უფროსის დავალებებს;

ბ) აღნუსხავენ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე კანონპროექტების განხილვისას გამოთქმულ შენიშვნებსა და წინადადებებს;

გ) ასრულებენ კანონმდებლობით, კომისიის უმაღლესი საბჭოს აპარატისა და კომისიის აპარატის დებულებით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

7. კომისიის აპარატის უფროსსა და სპეციალისტებს კომისიის თავმჯდომარის წარდგინებით "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსი.